”თუ ბატონი ლადო მართალი აღმოჩნდება, ჩემი ხელით დავანგრევ ფოთის სპეციალურ ინდუსტრიულ ზონას”

ეკონომისტი პრეზიდენტს დაპირებას ახსენებს

გაზეთი ”რეზონანსი” – 21 ივნისი, No. 165, 2012.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპavა სააკაშვილს თავისუფალ ეკონომიკურ ზონებთან დაკავშირებით მის დაპირებას ახსენებს და ამ პირობის შესრულებისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ლადო პაპავამ „რეზონანსთან“ სააკაშვილის იმ განცხადების საპასუხოდ ისაუბრა, სადაც პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ ფოთში ყოფნისას განაცხადა, რომ ფოთის სპეციალური ინდუსტრიული ზონა ჩავარდა.

პრეზიდენტის რა დაპირბაზე საუბრობს პაპავა და რატომ აღმოჩნდა ფოთის ინდუსტრიული ზონა წარუმატებელი, ამ საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.

ლადო პაპავა: საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა სულაც არ არის ახალი და ეს იდეა მოდის ჯერ კიდევ 1989 წლიდან, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და აკაკი ბაქრაძემ დააყენა საკითხი, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის თავისუფალი ეკონომიკური ზონა ყოფილიყო. მოგვიანებით ეს იდეა ატაცებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის ასლან აბაშიძის მიერ და მიდოდა ჭიდილი თბილსსა და ბათუმს შორის და მახსოვს, მაშინ შევარდნაძემ ბათუმის ”დაბალანსება” გადაწყვიტა და მისი ინიციატივით ფოთმაც მოითხოვა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ბათუმის საპირწონედ. მაგრამ ეს უკვე იმდენად საშიში თამაში იყო, რომ ამას მოყვა საერთოდ თავისუფალი ეკონომიკური ზონების მოთხოვის ”აღლუმი” და ჩაერთო თბილისი, რომელსაც აქვს საერთაშორისო აეროპორტი, ყაზბეგი, ლაგოდეხი და სხვა საზღვრისპირა დასახლებული პუნქტები.

მაშინ შევარდნაძემ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ მომზადებულიყო კანონპროექტი „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ“ და 1995 წლის არჩევნებისთვის ასლან აბაშიძესთან გარიგებაც შედგა, რომ შევარდნაძე მიიღებდა ამ კანონს. ამ პროექტზე მუშაობა დაევალა ეკონომიკის სამინისტროს, რომლის ხელმძღვანელიც იმ პერიოდში მე გახლდით. ასე რომ, დამოუკიდებელ საქართველოში პირველი კანონპროექტი ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი ხელმძღვანელობით არის დაწერილი.

თუმცა, ეს კანონი მაშინ არ მიღებულა და, როდესაც ამ კანონზე მუშაობა დასრულდა, მეც დიდად აღარ ვუჭერდი მხარს.

„რ“: რატომ?

ლ.ჰ: მკითხველმაც რომ იცოდეს, თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის ეკონომიკისათვის შეღავათიანი რეჟიმი მოცემულ ზონაში. მთავრობის მიერ რაც უფრო ძლიერი პროტექციონისტური ზომები ტარდება, რაც უფრო არალიბერალური ეკონომიკური გარემოა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა მით უფრო ამართლებს. ხოლო, რაც უფრო ხდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რაც უფრო მეტად ემყარება ეკონიმიკა ღია კარის პრიციპს, მით ნაკლები ეფექტი მოაქვს თავისუფალ ეკონომიკურ ზონას და აზრი აღარ აქვს მის შექმნას.

1994 წლიდან კი საქართველოში სერიოზული ეკონომიკური რეფორმები დაიწყო, რომელიც დასრულდა ლარის შემოღებით, შეჩერდა ჰიპერინფლაცია და სერიოზული ზომები გატარდა ასევე საგარეო ვაჭრობის ლიბერილიზაციის კუთხით. როდესაც ეს პროექტი მომზადდა, ქვეყანა ისეთი სწრაფი ტემპით მიდიოდა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ფინანსური წესრიგის დამყარების კუთხით, რომ ამ კანონის მიღებას აზრი აღარ ჰქონდა. რაც მთავარია, თავად შევარდნაძესაც აღარ სჭირდებოდა ამ კანონის მიღება. შესაძლოა, მას ბოლომდე არც კი ჰქონდა გააზრებული ამ ზონის თავისებურების არსი, მაგრამ იცოდა, რომ ეს მთლად კარგი არ იქნებოდა მის ურთიერთობაში ასლან აბაშიძესთან.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამ თემასთან დაკავშირებით ახალი ეტაპი იწყება და 2000 წელს ასლან აბაშიძემ დაიქირავა ჩინელი ექსპერტები, რომლებსაც დააწერინა კანონპროექტი „სპეციალური ეკონომიკური ზონის შესახებ“; ანუ , აბაშიძემ სახელწოდებაში სიტყვა „თავისუფალი“ შეცვალა სიტყვა „სპეციალურით“, რათა რაღაცით გამიჯნოდა ჩვენს მიერ დაწერილ პროექტს. მე ამ დროს მინისტრი აღარ ვიყავი, მაგრამ როგოც დამოუკიდებელი ექსპერტი ამის წინააღმდეგ გამოვდიოდი სწორედ იმ მიზეზების გამო, რაზეც გესაუბრეთ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მეგონა, რომ ეს თემა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დასამარდა. თუმცა, ძალიან მალე ისევ დაიწყო ამ თემაზე საუბარი და ამის ინიციატორი იყო ზურაბ ჟვანია, რომელმაც ზუგდიდში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი დააყენა. მაგრამ ამ თემას განვითარება არ მოჰყოლია. მისი გარდაცვალების შემდეგ ცოტა ხნით ეს საკითხი მიჩუმდა. თუმცა კვლავ იფეთქა, როდესაც 2006 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტისთვის იდეა ფიქსი გახდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც მე პარლამენტის წევრი ვიყავი, უმრავლესობის ფრაქციაში და პარლამენტში მთავრობა შემოვიდა კანონით „სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ“. მკითხველი რომ შეცდომაში არ შევიდეს, გეტყვით, რომ, როგორც აბაშიძემ სიტყვა „თავისუფალი“ შეცვალა სიტყვა „სპეციალურით“, სააკაშვილმაც, რაიმე განსხვავებული რომ ყოფილიყო, კიდევ ერთი სიტყვა შეცვალა და დაარქვა „სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ“ პროექტი. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ინდუსტრიული ზონა, აქ ყველაფერი ნებადართულია, თუ არ შეეხება ნარკოტიკებს, იარაღს და აქციზურ საქონელს.

ამ კანონის მიღების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი და ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ ზონის შექმნის საჭიროება და ვითარება არ არსებობდა. მით უფრო, რომ რევოლუციის შემდეგ სააკასვილის მთავრობამ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა: კიდევ უფრო გამარტივდა ბიზნესის დაწყება და მნიშვნელობა არ აქვს, ბიზნესს სად დაიწყებ, ზონაში თუ ზონის გარეთ; კიდევ უფრო გამარტივებულია და უფრო ლიბერალური გახდა საგარეო სავაჭრო რეჟიმი; უცხოელების შემოსვლა პრინციპულად გამარტივდა და ხშირ შემთხვევაში ვიზა საერთოდ არ არის საჭირო. ასე რომ, ამ პირობებში კიდევ უფრო ნაკლები აზრი ჰქონდა ეკონომიკური ზონის შესახებ კანონის მიღებას და მე ჩემს მოსაზრებებს ვაფიქსირებდი ყველა საპარლამენტო შეხვედრაზე და სესიებზეც.

ისიც უნდა ითქვას, რომ ოპოზიცია ამ კანონპროექტის ზომიერი კრიტიკით გამოდიოდა და მათი კრიტიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ ეს ყველაფერი კარგია, მაგგრამ თქვენ, „ნაციონალები“ გააკეთებთ ამას ცუდად. შევარდნაძის საპარლამენტო გუნდიც თავის დროზე იგივეს ამბობდა აბაშიძესთან მიმართებაში, რომ ეს თავისთავად კარგი იყო, მაგრამ აბაშიძე გაკეთებდა მხოლოდ თავისთვის. ანუ, სულისკვეთება არ შეცვლილა. ამიტომ ერთად–ერთი დეპუტატი, ვინც ამის წინააღმდეგი იყო მე გახლდით. კენჭისყრაში ოპოზიციას მონაწილეობა არ მიუღია და წინააღმდეგი მხოლოდ ჩემი ხმა დაფიქსირდა.

„რ“: სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი ჩავარდა ფოთში. ამ ყველაფერს ფოთში პროექტის ჩავარდნასთან რა კავშირი აქვს?

ლ.პ: ამ ყველაფერს იმიტომ ვიხსენებ, რომ კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღებამდე ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა, როდესაც ჩატარდა ფრაქციის დახურული სხდომა. ახლა რასაც ვიტყვი, ამას პირველად ვამბობ, რადგან ვფიქრობ, რომ ახლა ისეთი რამ მოხდა, რომ ჩემი მხრიდან გაჩუმება მართებული არ იქნება.

ფრაქციის შეხვედრაზე ძირითადი თემა იყო ეს საკითხი და სააკაშვილმა ვრცლად ისაუბრა იმაზე, თუ ამ ზონის შექმნა რატომ არის მნიშვნელოვანი და რატომ უნდა გაკეთდეს. მე ამ შეხვედრაზე ხმა არ ამომიღია, მაგრამ სააკაშვილმა თქვა, ჩვენი ფრაქციის ყველა წევრი ამას არ იზიარებს, მე ლადო პაპავას ყველა გამოსვლა ვიცი და არ ვარ ეკონომისტი, რომ მას ვეკამათო, მაგრამ ზონა ფოთში მაინც უნდა გაკეთდეს; აქვე დააყოლა, რომ, თუ ბატონი ლადო მართალი აღმოჩნდება, მე ჩემი ხელით დავანგრევ ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონასო.

თქვენი გაზეთით მინდა შევახსენო ბატონ პრეზიდენტს თავისი სიტყვები და ვნახოთ, თავის დანაპირებს როგორ შეასრულებს და როგორ დაანგრევს ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონას.

„რ“: თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ზონის გაუქმება რთული იქნება?

ლ.პ: რა თქმა უნდა. აქ არის ძალიან ბევრი ხელშეკრულება, რომლის გაუქმება ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება. მაგრამ მე მაინც მინდა, შევახსენო პრეზიდენტ სააკაშვილს თავისი დაპირება. დღეს ხომ მან ირიბად აღიარა, რომ ლადო პაპავა მართალი აღმოჩნდა...

„რ“: თქვნ როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გაამართლა ამ ზონამ და ეს ვისი ბრალია?

ლ.პ: ვერც გაამართლებდა რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, მარტო საგადასახადო შეღავათები არ არის გადამწყვეტი ფაქტორი უცხოელი ინვესტორებისთვის. რა თქმა უნდა, ეს არის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სტიმული ინვესტორის დაინტერესებისთვის, მაგრამ არა გადამწყვეტი. ყველაზე სერიოზული პრობლემა საქართველოსთვის არის მისი არასტაბილურობა, რომელიც გამოხატულია უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ქვეყნის ოცი პროცენტი ოკუპირებულია და თბილსსა და მოსკოვს შორის აგრესიული რიტორიკა გრძელდება და განცდა იმისა, რომ ომი აღარ იქნება, არ არსებობს.

მეორე პრობლემა არის ის, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ინვესტიციის შემოსასვლელად საჭიროა, სულ ცოტა, ოთხჯერ მეტი დაიხარჯოს ზონის ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

ჩვენთან კი ფოთში რა გაკეთდა? არაფერი. ტერიტორია შემოიღობა, რამდენიმე შენობა ჩაიდგა და ამის შესატყვისი, ოთხჯერ ნაკლები ბიზნესიც არის იქ.

მესამე, საკუთრების უფლების და ზოგადა ბიზნესის და ბიზნესმენთა დაცულობაა და ამის გარანტიები კი, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში არ არსებობს. ამის ბევრი მაგალითი არსებობს. მაგალითად, ებრაელ ბიზნესმენებს რაც გაუკეთეს. ისინი რომ თაღლითები არიან, გასაგებია. მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს მთავრობაც თაღლითურად მოიქცა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, რომ გადაცდომაზე გადაცდომით იმოქმედოს.

ამიტომაც ეს ზონა წარმატებული, უბრალოდ, ვერ იქნებოდა. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი შეცდომით გაკეთდა და თანაც ისე, რომ წინასწარ ცნობილი იყო, რომ ეს პროექტი წარუმატებელი იქნებოდა და ნუ გვგონია, რომ ეს სადმე სხვაგან გაამართლებს. მით უფრო მომავლის ქალაქ ლაზიკასთან დაკავშირებით, რომელიც საუბრის სხვა თემაა.

„რ“: რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ამ ზონის შექმნა, რა სარგებელს ელოდა, თუკი შედეგები წინასწარ იყო ცნობილი?

ლ.პ: აქ არის ძალიან მარტივი რამ. პრეზიდენტებთან, როგორც წესი, არსებობს ეკონომიკური საბჭო, რომლის მოდელი ჯერ კიდევ გასული საუკუნეშში შექმნა აშშ–ის პრეზიდენტმა ჰარი თრუმენმა და მას შემდეგ ამ მოდელით ბევრი ქვეყანა სარგებლობს.

ასეთი ეკონომიკური საბჭო ჰქონდა ედუარდ შევარდნაძესაც, რომლის წევრიც გახლდით მე და რომლის დონეც საკმაოდ დაბალი იყო და მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. რაც შეხება სააკაშვილის პრეზიდენტობას, 2005 წელს, როდესაც სააკაშვილს შევხვდი, ჩემი ინიციატივით ასეთი საბჭო შევაქმნევინე 9 კაცის შემადგენლობით, ამ საბჭოს ერთადერთი სხდომა გაიმართა 2005 წლის მარტში და ეს იყო პირველი და უკანასკნელი სხდომა და, რამდენადაც ვიცი, ეს საბჭო დღესაც ქაღალდზე არსებობს. ამ მხრივ სააკაშვილი შევარდნაძის კარგი მოწაფე აღმოჩნდა. მე დღესაც არ ვიცი, პრეზიდენტს ეს საბჭო ქაღალდზე რისთვის სჭირდება.

ასე რომ, ვიდრე ქვეყნის პირველ პირს, ვინც არ უნდა იყოს, ეკონომიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე არ ექნება მსჯელობა პროფესიონალებთან, ასეთი შეცდომები გარდაუვალი იქნება.

„რ“: როდესაც რაღაც ინიციატივა არ ამართლებს, ვიღაცისთვის მაინც არის სარგებელის მომტანი. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას რა სარგებელი უნდა ენახა ან ვის აწყობდა ამის გაკეთება?

ლ.პ: ვერ გეტყვით, ვინ რა სარგებლობა ნახა. როგორც წესი, სააკაშვილის მისი გუნდის წევრები ვერ უბედავენ სიმართლის თქმას. ვიცი, რომ მათ ხშირად თავადაც არ ესმით ან არ მოსწონთ პრეზიდენტის ესა თუ ის ახირება, მაგრამ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტატუსის დაკარგვის შიშით თავს ისულელებენ და ცდილობენ მათი ლიდერის იდეების გამართლებას. ასე მოხდა, მაგალითად, ქუთაისში პარლამენტის გადატანასთან დაკავშირებით. კიდევ უფრო მძიმეა სიტუაცია ე.წ. მომავლის ქალაქ ლაზიკასთან დაკავშირებით. იმავდროულად, გამიგია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ჭაობში შესაძლებელია მოპარული ფულის ”გათეთრება”. იმის გამო, რომ იქ ჭაობია, ვერ დათვლი, სად რა წავიდა და ამიტომ ფულის ”გათეთრება” გაადვილებულია.

რუსიკო მაჩაიძე